

ფინანსური ანგარიშგება
შპს “მეტრო ლოგისტიკი” (ს/ნ402079344)

2022 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022

აქტივები	2022	2021	2020	2019
მიმდინარე აქტივები	ლ	ლ	ლ	ლ
ფული საბანკო ანგარიშებზე	55,760	17,158	22,036	23,479
მოთხოვნები კლიენტებისგან	203,314	102,204	396,022	154,505
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	3,660	30,273		
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1	1,171		
მოთხ.პარტნიორებზე გაცემული სესხიდან	28,782	29,579		
მისაღები პროცენტები	4,821			
სულ მიმდინარე აქტივები	296,338	180,386	418,058	177,984
საწვავი	-	100		
სასაქონლო მატერიალური მარაგი	-	100	-	
გრძელვადიანი აქტივები	ლ	ლ		
შენობები	-	71,612	143,075	86,687
მანქანა-დანადგარები	918	1,218		
ოფისის აღჭურვილობა	6,137	9,380	87	1,387
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1,987	1,517	25,774	17,483
სატრანსპორტო საშუალებები	41,811	47,102		
სულ გრძელვადიანი აქტივები	50,853	130,830	168,936	105,557
სულ აქტივები	347,191	311,316	586,994	283,541
კაპიტალი და ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები	ლ	ლ		
ადგილობრივი მომწოდებლები	39,592	34,771		
უცხოელი პარტნიორები	536,296	293,545	346,199	106,488
მიღებული ავანსები	37,007	76,802		
გადასახდელი ხელფასები	-	25		
მომსახურებები ფიზიკური პირებისგან	-	-		
დარიცხული ვალდებულებები	349	705		1,355
საგადასახადო ვალდებულებები	1,274	13,604		
სულ მიმდინარე ვალდებულებები	614,518	419,452	346,199	107,843
გრძელვადიანი ვალდებულებები	ლ	ლ		
გრძელვადიანი სესხები	233,510	176,720	66,238	75,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	233,510	176,720	66,238	75,000
კაპიტალი	ლ	ლ		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	(277,852)	(193,348)	174,557	100,698
წინა პერიოდების მოგება/ზარალი	(222,986)	(91,509)		
სულ საკუთარი კაპიტალი	(500,838)	(284,857)	174,557	100,698
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	347,190	311,316	586,994	283,541

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 01 ოქტომბერი 2023 წელი:

დირექტორი

თემური გუმბერიძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 7-17 გვერდებზე
წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

მოგება-ზარალისა და სხვა სრული

შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	2022	2021	2020	2019
ლარი					
ამონაგები		5,605,976	3,187,296	3,113,658	2,311,645
რეალიზებული მომსახურების ღირებულება	4	-5,284,332	-2,850,506	(2,528,697)	(1,956,328)
საერთო მოგება		321,644	336,790	584,961	355,316
სხვა შემოსავალი		3,435	46,711	5,764	5,137
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოები		-320,737	-406,840	(268,855)	(165,881)
ადმინისტრაციული ხარჯები	5	-125,452	-122,505	(73,577)	(49,110)
სხვა ხარჯები		-67,674	-47,504	(174,434)	(29,601)
მიმდინარე წლის მოგება		(188,784)	(193,348)	73,859	115,861
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-312,054	(91,508)		
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		(500,838)	(284,856)		

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნები	2022	2021	2020	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან						
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		(500,838)	(284,856)	73,859	115,861	(15,163)
კორექტირებები:						
ცვეთა	8	(10,431)	(13,745)	-	1,561	561
საოპერაციო შედეგისაზრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		(511,269)	(298,601)	73,859	117,422	(14,602)
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებიდან		195,066	73,253	163,357	20,504	85,984
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებიდან		156,870	34,830	(249,807)	(110,327)	(61,661)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		33,969	87	1,300	(628)	(758)
		(125,363)	(190,430)	(11,292)	26,971	8,962
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან						
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან						
ძირითადი საშუალებების შეძენა		(69,546)	25,990	(56,389)	(83,283)	(5,525)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(69,546)	25,990	(56,389)	(83,283)	(5,525)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან						
გაცემული დივიდენდები						
მიღებული სესხები		233510.41	176,720	66,238	75,000	-
ნასესხები სახსრების გადახდა				-	1,354	
წმინდაფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		233,510	176,720	66,238	76,354	-
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		38,602	12,281	(1,443)	20,042	
ფულადი სახსრები ზელზე სა საბანკო ანგარიშზე პერიოდის დასაწყისში		17,158	22,036	23,479	3,437	-
ფულადი სახსრები ზელზე სა საბანკო ანგარიშზე პერიოდის ბოლოში	6	55,760	17,158	22,036	23,479	3,437



ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 7-17 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “მეტრო ლოგისტიკი” (კომპანია) დაარსდა 2018 წელს და დაარსების დღიდან დღემდე აწარმოებს საერთაშორისო გადაზიდვებს, საზღვაო, საავიაციო, საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტით, გადაზიდვებს კავკასიისა და ევროპის ქვეყნებში, ასევე ყველა სახის დამატებით მომსახურებას, როგორცაა განბაჟება და სასაწყობო მომსახურება.

შპს “მეტრო ლოგისტიკი”-ის 100%-ის წილის მფლობელი:

- თემური გუმბერიძე.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, დიდმის მასივი, I კვ., კორპ. №6, ბინა №28

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშების ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშებაზე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

თავად კომპანიას არ წარუდგენია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გარე მომხმარებლებისათვის წინა პერიოდებში, შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მსს ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. კომპანიამ ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად გამოიყენა ფასს 1 *ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება*.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.2095 (2018 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6766, ერთი ევრო 3.0701; 2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.5922 ლარი, ერთი ევრო 3.1044). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკუროს სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწვიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწვილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწვება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

- ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი – 5 წელი
- შენობა – ნაგებობა – 20 წელი

3.4 ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3.4.1. ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი ნეტო ღირებულებით წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ არსებობს ამის იურიდიული საფუძველი და არსებობს განზრახვა მისი ნეტო თანხის ბაზაზე გაქვითვის შესახებ ან აქტივის რეალიზების და ვალდებულების გასტუმრების ერთროული განხორციელების შესახებ.

3.5 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულის დონეზე.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღარგებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.6 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.7 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადაგადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოვებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.8 შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება ლოჯისტიკური მომსახურებიდან.

3.9 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე აერთიანებს ნაღდ ფულს, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

4 რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

4 რეალიზებული მომსახურების ღირებულება

	2022	2021	2020	2019	2018
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	5,211,615	2,850,506	2,528,697	1,956,328	490,452
				0	
სულ რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	5,211,615	2,850,506	2,528,697	1,956,328	490,452

5 ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 ლარი	2021 ლარი	2020 ლარი	2019 ლარი
5 ადმინისტრაციული ხარჯები				
შრომის ანაზღაურება	(297,649)	360,665		
თანამშრომელთა ბონუსები	(23,088)	46,176		
საკანცელარიო ხარჯი	(66)	42		
სამეურნეო ხარჯი	(2,578)	1,435		
საპენსიო ხარჯი	(6,120)	8,811	3,321	3,108
ფიზიკური პირების მომსახურების ხარჯი		72,475	16,642	
მივლინება საქართველოში	-	2,728		
ტენდერში მონაწილეობის ხარჯი	(17)	300		
აღსრულების ხარჯი	-	679		
საიჯარო ქირა	(37,347)	22,294	7,449	16,417
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(1,000)	646	5,329	4,357
ტრენინგის ხარჯი	-	432		
დღეის პოლიციის გაცილების ხარჯი		16,847		
სარეკრუტინგო მომსახურების ხარჯი		5,135		
კომუნალური ხარჯი	(5,518)	1,243		
საწვავის ჩამოწერა	(23,134)	24,847		
სატრანსპორტო საშუალების დეკარმების ხარჯი	-	16		
კომუნიკაციის ხარჯები		3,361	5,390	11,679
პროგრამირების ხარჯი	(8,149)	8,116	986	2,565
რეგისტრაციის ხარჯი	-	76		
დღეის მომსახურების ხარჯი	-	593		
კომპიუტერის ხარჯები	(1,233)	915	337	19
მივლინება საზღვარგარეთ სასტუმროს ხარჯი	(1,198)	645		
მივლინება საზღვარგარეთ ავიაბილეთის ხარჯი	(3,798)	1,231		
საკონსულტაციო ხარჯები	(42,000)	48,457	20,292	
ცვეთა და ამორტიზაცია	(10,431)	13,745	7,067	1,561
მანქანის რემონტის ხარჯები	(3,127)	2,476		
სხვა ხარჯები	(1,045)	40	1,594	1,196
ბანკის საკომისიო	(13,286)	13,757	5,170	8,208
წარმომადგენლობითი ხარჯი	(3,021)	335		
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	(483,805)	658,519	73,577	49,110

6 ფულადი სახსრები

6 ფულადი სახსრები

	2022	2021	2020	2019	2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში					
ფული რეზიდენტ ბანკში	55,760	17,158	22,036	23,479	3,437
სულ ფულადი სახსრები	55,760	17,158	22,036	23,479	3,437

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021	2020	2019	2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	203,314	163,227	396,022	139,524	29,781
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ			-	14,981	28,383
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	203,314	163,227	396,022	154,505	58,164

8 ძირითადი საშუალებები

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი, მანქანა და შენობა	ლარი
თვითღირებულება	-
2022 წლის 1 იანვარი	155,013
შემოსვლა	1,423
გასვლა	
2022 წლის 31 დეკემბერი	76,878
აკუმულირებული ცვეთა	
2022 წლის 1 იანვარი	24,183
წლის ცვეთა	1,842
2022 წლის 31 დეკემბერი	26,025

9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022	2021	2020	2019	2018
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	614,518	419,452	346,199	106,488	85,984
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	614,518	419,452	346,199	106,488	85,984

10 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი დამფუძნებელი და ძირითადი ხელმძღვანელობა.

10.1 საკონტროლო ურთიერთობები

შპს “მეტრო ლოგისტიკის”-ს 100%-ის წილის მფლობელი:

- თემური გუმბერიძე

10.2 ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა ხელფასებში, მოცემულია ქვემოთ:

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ლორი				
ხელფასები და ბონუსები	96,286	127,793	64,322	28,575
სულ ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან	96,286	127,793	64,322	28,575

11 გაუთვალისწინებელი გარემოებები

11.1 ბიზნეს გარემო

საქართველო განიცდის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლება, ცენტალიზებული ეკონომიკის, რეგიონალურ არასტაბილურობასა და საერთაშორისო ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონეა.

იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის

დამოკიდებული, გამოიწვია ფულადი გზავნილების შემცირება საზღვარგარეთიდან. ეროვნული ვალუტის დამატებითი გაუფასურება იწვევს იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდას. არსებობს გაურკვეველობა მნიშვნელოვანი მოცულობის პირდაპირი კაპიტალური ინვესტიციების მოზიდვისა. ამ და სხვა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ გაურკვეველობაში ჩართული რიგი ცვლადები და ვარაუდები, მენეჯმენტს არ შეუძლია გააკეთოს სანდო შეფასება, თუ კომპანიის რომელ აქტივებსა და ვალდებულებებზე ექნება გავლენა.

მენეჯმენტს სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

11.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას დაზღვეული აქვს პროფესიული საქმიანობა და აგრეთვე აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს საწვობის და მარაგების დაზღვევის მიმართულებით, რითაც მნიშვნელოვნად შეამცირებს რისკებს, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

11.3 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლებადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინტერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

11.4 გარემოს დაცვა

საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და შესაძლოა კანონმდებლობაში არსებობდეს გარკვეული ცვლილებები, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული კომპანიის საქმიანობასთან. თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალში წარმოიქმნება არსებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები.

12 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

მსოფლიოსა და საქართველოში კოვიდ-19-ის გავრცელებამ, უარყოფითად იმოქმედა კომპანიის გეგმებზე, რადგან პანდემიის გამო ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, როდესაც გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და დაიკეტა ქალაქები, ასევე აიკრძალა ყველა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა, შეფერხდა კომპანიის სერვისზე მოთხოვნაც. ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, აღნიშნული მოვლენა გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან კომპანია იმყოფება ფინანსურად სტაბილურ მდგომარეობაში.

კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური შოკი და მომავალში პანდემიის განვითარების მოლოდინი, გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც უკვე აისახა სავალუტო ბაზრის ცვალებადობაზე.

მიუხედავად მრავალი გაურკვევლობისა, ეროვნული ბანკი აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას, რათა შემცირდეს ნეგატიური გავლენა მოქალაქეებსა და კომპანიებზე.

ამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების დღეს გაცვლითი კურსი იყო 2.7020

სხვა პერიოდის შემდგომი მოვლენა არ მომხდარა, რომელიც მოითხოვს აღიარებას ან გამჟღავნებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

13 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 01 ოქტომბერი.